მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები

სარჩევი

სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში 3
მიგრაციის მართვა 10
საერთაშორისო სამართალი 15
სამართალი 20
საჯარო მმართველობა 26

პროგრამის სახელწოდება	სამაგისტრო პროგრამა ევროპისმცოდნეობაში Master Programme in European Studies
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირს (სამართლის, სოციალური და პოლიტიკის მეცნიერების, ეკონომიკისა და ბიზნესის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე პირები), რომელიც წარმატებით გაივლის საერთო სამაგისტრო გამოცდასა და შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს: 1. ინგლისური ენის გამოცდა B2 დონეზე; 2. სპეციალობის გამოცდა (წერითი კომპონენტი); 3. გასაუბრება (ზეპირი კომპონენტი). ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TOEFL, IELTS, FCE), ასევე, კანდიდატი, რომელსაც ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საფეხური გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე (ბოლო 2 წლის განმავლობაში) რაც დასტურდება შესაბამისი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონდმებლობით დადგენილი წესით. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში. სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
სწავლების ენა	ინგლისური
კვალიფიკაცია	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი Master of European Studie
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	• პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქესტუდენტებისთვის შეადგენს 3000 ლარს.

	• პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქესტუდენტებისთვის შეადგენს 4200 ლარს. • პროგრამაზე სწავლის საფასური ორმაგი ხარისხის სამაგისტრო პროგრამისმიზნებისთვის დგინდება შესაბამის უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმებით.
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები: 1. ნათია ლაპიაშვილი, შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2. ვასილ კაჭარავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 3. თამაზ ზუბიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 4. დანიელა ურსე, ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი
	პროგრამის სტრუქტურა
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	35 კრედიტი
სავალდებულო დარგობრივი	30 კრედიტი
არჩევითი დარგობრივი	25 კრედიტი
თავისუფალი სასწავლო კურსები:	30 კრედიტი
სულ	120 ECTS

პროგრამის მიზანი

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ამ მიზნით:

1. უზრუნველყოს სტუდენტები ღრმა და სისტემური ინტერდისციპლინური უახლესი ცოდნით ევროპისა და ევროკავშირის ინტეგრაციის ისტორიის, ევროკავშირის სამართლის, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის და ევროკავშირის პოლიტიკური მოწყობის, მათ შორის, სხვადასხვა პოლიტიკის შემუშავების პროცესის და ევროინტეგრაციის თანამედროვე თეორიების შესახებ;

2. გამოუმუშავოს სტუდენტებს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების, ნორმატიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა დოკუმენტების შესწავლა-შემუშავებაში, ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან გაანალიზებაში, ახსნა-განმარტებაში, დასაბუთებაში, ინტერპრეტაციასა და ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში დანერგვაში;

3. მოამზადოს დარგის მაღალკვალიფიციური ექსპერტები, რომლებიც შეიმუშავებენ ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტების კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, კვლევით ნაშრომებს, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომს ანალიტიკური ნაშრომების შესრულების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით;

4. ევროპული ღირებულებების მატარებელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებიც მოწოდებულნი იქნებიან საკუთარი ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სექტორში საქმიანობისას, ასევე, აკადემიურ სივრცეში სწავლის მომდევნო საფეხურზე გასაგრძელებლად.

სწავლის მეთოდები

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა ეფუძნება სწავლების მრავალფეროვან მეთოდს: დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, ევროკავშირის სიმულაცია და იმიტირებული სასამართლო პროცესი, პრეზენტაციები, ვებინარები, შერეული სწავლება ან დისტანციური ლექციები, როგორც ელექტრონული სწავლების ცალკეული ელემენტი.

სასწავლო კურსები არის ინტერაქტიული და ორიენტირებული თეორიისა და პრაქტიკის გააზრებაზე. სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს ხშირად უწევთ შემთხვევის ანალიზისა და დახურული ტიპის კითხვებისგან შედგენილი ტესტების ჩაბარება, რათა უკეთ გაერკვიონ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება.

ლექცია-სემინარები წარმოადგენს პროგრამის სწავლების უმთავრეს მეთოდს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალის მომზადება, სხვადასხვა დავალების შესრულება ტესტების, სავარჯიშოებისა თუ სხვა სახით. ლექციებზე მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ დებატებსა და დისკუსიებში. ერთი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი იყენებს სწავლების რამდენიმე მეთოდს ერთდროულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რაც სულ უფრო აქტუალური ხდება.

ევროპული კვლევების ინსტიტუტში სასწავლო პროცესის შემადგენელი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირის სიმულაცია, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ევროკავშირის შესახებ ცოდნის სტუდენტებამდე მიტანის ინოვაციურ გზას, რადგან, სწორედ მისი მეშვეობით ხდება თავად ევროპული ინტეგრაციის კონცეფციისა და ევროკავშირში არსებული კულტურული მრავალფეროვნების ფენომენის სწორი გაგება. ამასთანავე, სტუდენტებს უყალიბდებათ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა ორატორული ხელოვნება, წერის დახვეწილი სტილი, მოლაპარაკებების წარმოებისა და პრობლემათა მოგვარების უნარ-ჩვევები. სხვადასხვა იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებით სტუდენტები უკეთ ეცნობიან იმ გარემოს, რაც არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სასამართლოებში.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ ერთი შუალედური წერა, რაც ფასდება პროფესორის მიერ შესაბამისი ქულით. ამასთან, როგორც წესი, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაცია. ამისთვის თითოეულ სტუდენტს ეძლევა გარკვეული თემა, რომელსაც მოამზადებს და წარადგენს აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის მსვლელობისას სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და იღებენ პასუხებს პრეზენტატორი სტუდენტისგან; ცალსახა პასუხის არ არსებობის შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობის გზით მიდიან გარკვეულ დასკვნებამდე. პრეზენტაციის გაკეთებამდე სტუდენტები წერილობითი ფორმით ამზადებენ იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რაზეც უნდა წარიმართოს დისკუსია. მიმოხილვა მოიცავს დისკუსიის წარმართვის მთავარ საკითხს, მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს, რაც გააკეთეს საკითხის დამუშავების პროცესში, ისევე როგორც სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების გარშემო. სტუდენტები აანალიზებენ ევროკავშირში არსებულ მდგომარეობას, იმ პრობლემებს, რაც არსებობს მისი ინსტიტუტების წინაშე, ისევე როგორც იხილავენ ევროკავშირის როგორც ზესახელმწიფოებრივი სუბიექტის პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავების პროცესსა და მისი იმპლემენტაციის საკითხებს, როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნულ დონეზე.

ყველა მეცადინეობას აქვს ინდივიდუალურად შერჩეული სწავლის მეთოდი, რომელიც კონკრეტულად დასახული შედეგის მიღწევაში ეხმარება კურსის ხელმძღვანელს. თუმცა, განზოგადების შემდეგ იკვეთება საერთო მიდგომაც - ე.წ. ლექცია–სემინარების ფორმატი. კერძოდ, საკითხავი მასალის მომზადება სავალდებულოა ლექციაზე მოსვლამდე. ლექცია– სემინარის დაწყებისას პირველი 10–15 წუთი ეთმობა წინასწარ წაკითხული მასალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, რის შემდეგაც ლექტორი გადადის უკვე დღის განმავლობაში განსახილველი საკითხის ახსნაზე და მთავარი ასპექტების გამოყოფაზე. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია სტუდენტის აქტიური მონაწილეობა დისკუსიაში, რათა მოხდეს მთავარი საკითხების უფრო მეტად დაკონკრეტება და სტუდენტამდე მიტანა.

სასწავლო კურსის დაწყებამდე ხდება სტუდენტისათვის სრული ლიტერატურის მიწოდება როგორც პროფესორის მიერ მომზადებული რიდერებიდან, ისე ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და თსუ-ის ბიბლიოთეკიდან. სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს და ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილ ინტერნეტ საშუალებებს.

ამასთან, ევროკავშირის ტემპუსის პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES 543955) ფარგლებში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შეიქმნა ინოვაციური სწავლების ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს დროთა განმავლობაში ინოვაციური სწავლების მეთოდების (სიმულაციის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სასწავლო კურსები და შერეული სწავლება) დანერგვას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სიმულაციის მეთოდის აქტიურად გამოყენება ხდება შემდეგი კურსების ფარგლებში: „ევროკავშირის სამართალი“; „ევროკავშირის სამართალი და ინვესტიციები“; საერთაშორისო საინვესტიციო სამართალი და ადამიანის უფლებები“, „საერთაშორისო დავების

გადაწყვეტა“, „საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟი“ (პროფ. ნათია ლაპიაშვილი); „მმართველობა და პოლიტიკის შემუშავების პროცესი ევროკავშირში“; „ევროინტეგრაციის თეორიები“; „სამართლის თეორია“; „სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები - უნივერსალური, რეგიონული (ევროპის საბჭო, ევროკავშირი) და კონსტიტუციური დაცვა“ (ნინო ლაპიაშვილი); მოლაპარაკებების ხელოვნება (თორნიკე ნოზაძე).

ელექტრონული სასწავლო კომპონენტის გამოყენება სტუდენტების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და მათთვის დამატებით სასწავლო წყაროს წარმოადგენს. ამ ეტაპზე თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ვებ-გვერდის ბაზაზე არსებობს შემდეგი ელექტრონული სალექციო კურსები: 1. სოციალური პოლიტიკა და მულტიკულტურული პროცესები ევროპაში (პროფ. ია ნაცვლიშვილი); 2. სტატისტიკა (პროფ. ქართლოს ყაჭიაშვილი); 3. ევროკავშირის სამართალი (პროფ. ნათია ლაპიაშვილი); 4. ევროკავშირის ინტეგრაციის ეკონომიკა (პროფ. მერაბ აბდალაძე); 5. ადამიანის უფლებათა ევროპული სამართალი (პროფ. კონსტანტინე კორკელია); 6. საჯარო პოლიტიკა და მდგრადი განვითარება - ევროკავშირის მაგალითი (პროფ. ფარჰად მუხთაროვი).

კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სრულიად მომზადებული შეხვდა სწავლების ელექტრონულ და შერეულ ფორმატზე გადასვლას. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული სწავლების ფორმატი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა.

სწავლის შედეგები

ა) ცოდნა და გაცნობიერება

1) სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს და მსჯელობს ევროპისა და ევროკავშირის ისტორიის, სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკის, ასევე, ევროინტეგრაციის უმთავრესი ასპექტების და ევროინტეგრაციის თანამედროვე თეორიების შესახებ, რაც აძლევს დარგში დაგროვილი ცოდნის კრიტიკული გააზრებისა და დასმული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახლებური ხედვის ფორმირების შესაძლებლობას;

2) აცნობიერებს ევროპისმცოდნეობის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხების გადაჭრის გზებს და ქმნის საფუძველს ევროპისმცოდნეობის სფეროში ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისთვის

ბ) უნარები

3) კრიტიკულად უდგება და სიღრმისეულად აანალიზებს ევროკავშირსა და მის სამეზობლოში მიმდინარე კომპლექსურ გამოწვევებს, კრიზისებს და მიმდინარე პროცესებს, მათი გადაწყვეტისთვის ნორმატიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ საფუძვლებს, მათ შორის, ახალ, ინტერდისციპლინურ გარემოში;

4) შეისწავლის და შეიმუშავებს ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების მოსაგვარებლად ნორმატიულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა სახის დოკუმენტებს და ამ პროცესში ინოვაციური მიდგომებით ასინთეზირებს ევროპისმცოდნეობის დარგში დაგროვილ მონაცემებს, მათ შორის, უახლეს კვლევებს;

5) დამოუკიდებლად ქმნის ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტების კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს, კვლევით ნაშრომებს, მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

6) ახდენს საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენას აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით როგორც აკადემიური, ისე პროფესიული საზოგადოებისთვის;
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
7) დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარ სწავლის პროცესს და ახდენს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებას, ისევე როგორც შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენას და განხორციელებას;
8) აანალიზებს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ფარგლებს და ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების დაცვას. ისწრაფვის, მონაწილეობა მიიღოს ევროპული ღირებულებების ფორმირების პროცესში და პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს მათ დასამკვიდრებლად;
9) წვლილი შეაქვს ევროპისმცოდნეობის შესახებ პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში კომპლექსურ მულტიდისციპლინურ გარემოში ადაპტირებით და ახალი სტრატეგიული მიდგომების დანერგვით.

შეფასების პროცედურები

შეფასებათა სისტემა აერთიანებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;
და ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება;
ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი
სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა.
სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

დასაქმების სფეროები

ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებული კომპეტენციების შეძენას სწავლებისთვის, დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისთვის და იძლევა კარიერის შექმნის პერსპექტივებს შემდეგ სფეროებში:

- საჯარო სამსახური;
- არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები;

- პოლიტიკური ორგანიზაციები;
- კერძო სექტორი;
- საკონსულტაციო ორგანიზაციები;
- მედია და საინფორმაციო ცენტრები.

ევროპისმცოდნეობის მაგისტრს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.

პროგრამის სახელწოდება	მიგრაციის მართვა Migration Management
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის, ეკონომიკის, სოციალური, პოლიტიკური, ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების, ასევე B2 დონის ინგლისური ენისა და სპეციალობის (ესსე მიგრაციის აქტუალურ საკითხებზე) შიდასაუნივერსიტეტო წერითი გამოცდების საფუძველზე. საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე სამაგისტრო პროგრამაზე ჩაბარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. ინფორმაცია შიდასაუნივერსიტეტო გამოცდებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების თაობაზე განთავსდება უნივერსიტეტისა და ინსტიტუტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე. მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. უცხოური (ინგლისური) ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე გავლილი აქვს სასწავლო კურსი.
სწავლების ენა	ქართული, ინგლისურენოვანი კურსების კომპონენტებით.
კვალიფიკაცია	მიგრაციის კვლევების მაგისტრი Master of Migration Studies .
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
	იურიდიული ფაკულტეტი

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი დავით პატარაია.
პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	96
არჩევითი დარგობრივი	24
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120

პროგრამის მიზანი

მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა მიგრაციის მართვის საერთაშორისო და ეროვნული ინსტრუმენტებისა და მექანიზმების, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემის, წყაროების, ძირითადი პრინციპებისა და დარგების შესახებ, მიგრაციის საერთაშორისო სამართლის ძირითადი ცნებების, უნივერსალური და რეგიონული (ევროპული) სტანდარტების, განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და პრობლემების, მათ შორის, საზღვრის მართვის თანამედროვე პრინციპების, მეთოდებისა და ტენდენციების, თანამედროვე სახელმწიფოს მართვის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების, საერთაშორისო ურთიერთობების წინაშე არსებული გამოწვევების, მიდგომებისა და პრობლემების, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი სისტემის საფუძვლების, საერთაშორისო ეკონომიკისა და მიგრაციის ურთიერთმიმართების, თანამედროვე ტენდენციებისა და კანონზომიერებების, ისტორიულ და გეოგრაფიულ კონტექსტში საერთაშორისო მიგრაციის მთავარი ტენდენციების; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევი მიზეზების, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული და საერთაშორისოსამართლებრივი ნორმების, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ინსტრუმენტებისა და მექანიზმების, კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების შესახებ;
- გამოუმუშავოს მიგრაციის მართვის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების ანალიზისა და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მათი გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს მიგრაციის მართვის სფეროში აქტუალური სამეცნიერო პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამისი სამეცნიერო გზების შემუშავების, მიგრაციის მართვის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვის და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და
- არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;

- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და მიგრაციის მართვის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, არსებული პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარების უნარი.

სწავლის მეთოდები

ლექცია
სემინარი
ელექტრონული რესურსით სწავლება
ელექტრონული სწავლება
სამუშაო ჯგუფში მუშაობა
პრაქტიკული მუშაობა
მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე
მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.
ამასთან, სწავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) აღწერს მიგრაციის მართვის მნიშვნელოვან საერთაშორისო და ეროვნულ ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემას, წყაროებს, ძირითად პრინციპებსა და დარგებს, მიგრაციის საერთაშორისო სამართლის ძირითად ცნებებს, უნივერსალურ და რეგიონულ (ევროპული) სტანდარტებს, მიგრაციის საერთაშორისო სამართლის განვითარების თანამედროვე ტენდენციებსა და პრობლემებს, მათ შორის, საზღვრის მართვის თანამედროვე პრინციპებს, მეთოდებსა და ტენდენციებს, თანამედროვე სახელმწიფოს მართვის თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს, საერთაშორისო ურთიერთობების წინაშე არსებულ გამოწვევებს, მიდგომებსა და პრობლემებს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისოსამართლებრივი სისტემის საფუძვლებს, საერთაშორისო ეკონომიკისა და მიგრაციის ურთიერთმიმართებას, თანამედროვე ტენდენციებსა და კანონზომიერებებს, ისტორიულ და გეოგრაფიულ კონტექსტში საერთაშორისო მიგრაციის მთავარ ტენდენციებს; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) გამომწვევ მიზეზებს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ და საერთაშორისოსამართლებრივ ნორმებს, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო და ეროვნულ სამართლებრივ ინსტრუმენტებსა და მექანიზმებს, კვლევის მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, აკადემიური ეთიკის საკითხებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს;
(B) აანალიზებს მიგრაციის მართვის სფეროში არსებულ კომპლექსურ პრობლემებს და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ორიგინალურ გზებს;
(C) ამოიცნობს მიგრაციის მართვის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზებს, მიგრაციის მართვის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;
(D) მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან მიგრაციის სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალურ–პოლიტიკური ასპექტების, საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით;
(E) ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი მეცნიერული კვლევების, რთული ან არასრული ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და მიგრაციის მართვის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
(F) აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, პრაქტიკისა და ღირებულებების განვითარებაში.

დასაქმების სფეროები

მიგრაციის კვლევების მაგისტრი მომზადებულია მიგრაციის მართვის სფეროში მაღალი რანგის პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, მიგრაციის მართვის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს საქართველოს შსს-ოს მიგრაციის დეპარტამენტში, მიგრაციის რესურს ცენტრებში, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო სტრუქტურებში, ასევე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ევროპულ ინსტიტუციებში, პოლიტიკურ ორგანიზაციებში, კონსალტინგურ ორგანიზაციებში, მედია და საინფორმაციო ცენტრებში, სადაც მოითხოვება მიგრაციის კვლებების მაგისტრის ხარისხი.

პროგრამის სახელწოდება	საერთაშორისო სამართალი International Law
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ან საერთაშორისო სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის ინგლისური ენისა და სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. ინგლისური ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე ინგლისურენაზე გავლილი აქვს სასწავლო კურსი.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	საერთაშორისო სამართლის მაგისტრი; Master of International Law.
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი, სამართლის დოქტორი - ირინე ქურდაძე

პროგრამის სტრუქტურა	
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა
სავალდებულო საუნივერსიტეტო	
სავალდებულო დარგობრივი	120
არჩევითი დარგობრივი	
დამატებითი პროგრამა (minor)	
სულ	120
პროგრამის მიზანი	

საერთაშორისოსამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და საერთაშორისო სამართლის მიღწევების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემების, იურიდიული კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართალშემოქმედების აქტის, ასევე სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;

გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის, ასევე ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოების თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი;

გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საერთაშორისო სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზების გამოყენების, საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;

გამოუმუშავოს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალური სამეცნიერო სამართლებრივი პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევითი პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;

გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და ინგლისურ ენებზე წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;

გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;

გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.

სწავლის მეთოდები

- ლექცია
- სემინარი
- ელექტრონული რესურსით სწავლება
- ელექტრონული სწავლება
- სამუშაო ჯგუფში მუშაობა
- პრაქტიკული მუშაობა

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე.

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს.

ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების პროცედურები

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.
საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).
საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:
ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:
აღწერს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიღწევებს, განვითარების ძირითად ტენდენციებს, გამოწვევებსა და ხარვეზებს, საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებს, პრინციპებს, აქტუალურ პრობლემებს, ეროვნული სამართლის ევროპის სამართალთან დაახლოების/ჰარმონიზაციის

საკითხებს, ასევე იურიდიული კვლევის თანამედროვე მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს, სამოსამართლო სამართლის საკითხებს, სამოსამართლო ეთიკის წესებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს; აანალიზებს თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საერთაშორისო სამართლის უახლეს მეცნიერულ კვლევებს და საერთაშორისო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს; განმარტავს საერთაშორისო სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, აფასებს საერთაშორისო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს და პრაქტიკაში არსებული რთული, კომპლექსური პრობლემების თაობაზე შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; ამოიცნობს საერთაშორისო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზებს, საერთაშორისო სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს; მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით; ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საერთაშორისო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს; აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.
დასაქმების სფეროები
საერთაშორისო სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის ან საერთაშორისო სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

პროგრამის სახელწოდება	სამართალი LAW
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებისა და B2 დონის უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენისა და სპეციალობის შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და დადგენილი წესით. უცხოური (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენის გამოცდისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ, გერმანულ ან ფრანგულ ენაზე ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის საფეხურზე გავლილი აქვს სასწავლო კურსი.
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაცია	სამართლის მაგისტრი Master of Law
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
ECTS	120
სწავლების გადასახადი	2250
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3
პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი

საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი ირაკლი ბურდული
	პროგრამის კოორდინატორი: თამარ თაკალანძე

პროგრამის სტრუქტურა

კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები 120 ECTS

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი 90 ECTS

სავალდებულო სასწავლო კურსები 12 ECTS

მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები 18 ECTS

პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს:

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევების, მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების, თანამედროვე ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციების, ქართული სამართლის განვითარებაზე ევროკავშირის სამართლის გავლენის, პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის მეთოდოლოგიური პრინციპების, იურიდიული მეცნიერების აქტუალური პრობლემების, იურიდიული კვლევის მეთოდების, აკადემიური პატიოსნების წესების, აკადემიური ეთიკის საკითხების, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითადი პრინციპების, სამოსამართლო სამართლის, როგორც სამართალშემოქმედების აქტის, ასევე სამოსამართლო ეთიკის წესებისა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებების შესახებ;
- გამოუმუშავოს მოქმედი კანონმდებლობის, თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის, საკანონმდებლო ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზისა და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს პროფესიულ დონეზე საჯარო, კერძო ან სისხლის სამართლის ნორმების განმარტების, სტრატეგიულ მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზების გამოყენების, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების, არასტანდარტული სამართლებრივი სიტუაციების შეფასების, სამართლებრივი ხარვეზების მოძიების და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემის ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზების შემუშავების, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე სამეცნიერო-კვლევით პროცესის დაგეგმვის და სამეცნიერო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს აკადემიური, კომპლექსური და პროფესიული საზოგადოებისათვის საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების ქართულ და უცხოურ ენებზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) წერითი და ზეპირი ფორმით გაზიარების უნარი;
- გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების,

უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი; • გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვისა და პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარების უნარი.
სწავლის მეთოდები
ლექცია სემინარი ელექტრონული რესურსით სწავლება ელექტრონული სწავლება სამუშაო ჯგუფში მუშაობა პრაქტიკული მუშაობა სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რაც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება. თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს და თითოეული სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გაითვალისწინება სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეძლოს სტუდენტმა. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორიცაა ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა და სხვა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. ამასთან, წავლება-სწავლის მეთოდი შეიძლება მოიცავდეს შესაბამის აქტივობებს: დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, გონებრივი იერიში, შემთხვევების ანალიზი (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და სხვა. სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე აქტივობას ან ნებისმიერ სხვა აქტივობას კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შეფასების პროცედურები
შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო- კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). **სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნოერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემა უშვებს:** ხუთი სახის დადებით შეფასებას: (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები,რაც ნიშნავს, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

სწავლის შედეგები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:
(A) აღწერს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში ეროვნული მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს, თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ პრინციპებს, იურიდიული კვლევის მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს, სამოსამართლო სამართლის საკითხებს, სამოსამართლო ეთიკის წესებს და მოსამართლეთა დისციპლინური სამართლაწარმოების თავისებურებებს;
(B) აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს;
(C) განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, აფასებს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს და პრაქტიკაში არსებული რთული, კომპლექსური პრობლემების თაობაზე შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალური გზებს;
(D) ამოიცნობს კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო გზებს, კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს;
(E) მსჯელობს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით;
(F) ავლენს სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და კერძო, სისხლის ან საჯარო სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.
(G) აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.

დასაქმების სფეროები

სამართლის მაგისტრი მომზადებულია სამართლის სფეროში მაღალი რანგის იურიდიული პრაქტიკის განსახორციელებლად და სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად. შესაბამისად, სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა ეძლევა იმუშაოს ნებისმიერ იმ თანამდებობაზე, სადაც მოითხოვება სამართლის მაგისტრის ხარისხი და არ არის აუცილებელი სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

პროგრამის სახელწოდება	საჯარო მმართველობა Public Administration
საფეხური	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ა) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი სამართლის, ეკონომიკის, ისტორიის, ჰუმანიტარული ან სოციალური მეცნიერების დარგში (მიიღებიან, მხოლოდ აკრედიტებული უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები) ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით დაძლევა (უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ) გ) ინგლისური ენა (B2 დონე) - გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ. ასევე,კანდიდატებს შესაძლებლობა აქვს წარმოადგინონ ინგლისური ენ ის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი, მინიმუმ B2 დონე, რა შემთხვევაშიც, ისინი განთავისუფლდებიან უცხო ენის გამოცდისაგან დ) გასაუბრება (ინგლისურ ენაზე) გერმანელ და ქართველ პროფესორებთან- ინგლისური ენის გამოცდის წარმატებით დაძლევის შემდეგ (მინიმუმ 51 ქულა), კანდიდატები გასაუბრებას გაივლიან ინგლისურ ენაზე. მისაღები კომისია შედგება 4-5 პირისაგან, როგორც თსუ-ს, ასევე, შპაიერის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან. ფასდება როგორც სტუდენტის კვალიფიკაცია და მოტივაცია, ისე ინგლისური ენის ცოდნის ხარისხი. შეფასება ხდება 51-100 ქულამდე სისტემით. სტუდენტების შერჩევისას უპირატესობა მინიჭებათ იმ სტუდენტებს, რომელეთაც უფრო მაღალი დიპლომის საშუალო ქულა (GPA) ექნება. მაგისტრანტობის უცხოელი კანდიდატებისათვის, გარდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, წინაპირობას წარმოადგენს გამოცდა ინგლისურ ენაში (ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი) და გასაუბრება ინგლისურ ენაზე.
სწავლების ენა	ინგლისური, ქართულენოვანი კომპონენტებით (უცხოელი სტუდენტებისთვის პროგრამა ხორციელდება მხოლოდ ინგლისურ ენაზე)
კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის მაგისტრი Master of Public Administration
სწავლების ხანგრძლივობა	4 სემესტრი
სწავლების გადასახადი	5850
პროგრამის განხორციელების ადგილი	თსუ II კორპუსი, ჭავჭავაძის 3

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული	იურიდიული ფაკულტეტი
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი : ირაკლი ბურდული და ანდრეას კნორი
კურსის სტატუსი	ECTS-მოცულობა: სავალდებულო საუნივერსიტეტო სავალდებულო დარგობრივი 110 არჩევითი დარგობრივი 10 დამატებითი პროგრამა (minor) სულ 120
ECTS	120 ECTS

პროგრამის მიზანი

A. პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის სფეროში განვითარების ტენდენციებზე, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებზე, ევროკავშირის გავლენაზე ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის მიმართულებით თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებზე, კვლევის მეთოდებზე, აკადემიური პატიოსნების წესებსა და პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებზე.

B. პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნოს საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებების ძირეული ასპექტები, როგორც ნაციოლნალურ ისე საერთაშორისო დონეზე.

C. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს კანონმდებლობის, ეკონომიკის, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრის და მათი თანამედროვე ეროვნული და საერთაშორისო პრაქტიკის, ნოვაციების, უახლესი მეცნიერული კვლევების ანალიზის და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე საკუთარი კომპლექსური და ორიგინალური დასკვნის შემუშავების უნარი;

D. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებული სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე განმარტების, სტრატეგიული მიდგომების და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციური გზების მოძიებისა და გამოყენების, ასევე, აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ კვლევის განხორციელების უნარი.

E. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემების ამოცნობის, მისი გადაწყვეტის შესაბამისი გზის შემუშავების უნარი.

F. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების გადმოცემის უნარი.

G. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს სხვადასხვა წყაროდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი.

H. პროგრამის მიზანია სტუდენტს გამოუმუშავოს აკადემიური პატიოსნების წესების, სამეცნიერო კვლევის ეთიკური შედეგების, პროფესიული ეთიკის სტანდარტების აღიარებისა და პატივისცემის უნარი.

სწავლის მეთოდები

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.
2. დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია

შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.
5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
6. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზითხორციელდება.
7. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
8. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
9. პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
10. დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);
11. გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
12. კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;
13. შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
14. უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.
15. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
16. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
17. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი. · სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
18. სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე

დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

19. სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.
20. სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
21. ახსნა–განმარტებითიმეთოდი–ეფუძნებამსჯელობასმოცემული საკითხისირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
22. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
23. წერითიმუშაობისმეთოდი –გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა
24. და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.
25. პროფესორი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე

შეფასების პროცედურები

სტუდენტის ცოდნა ფასდება მაქსუმუმ 100 ქულიანი სისტემით, ხოლო კრედიტის მისაღებად საჭირო მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს – 51 ქულა; სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება შემდეგი სქემით: ქულები შეფასება
91-100 ფრიადი, A
81-90 ძალიან კარგი, B
71-80 კარგი, C
61-70 დამაკმაყოფილებელი, D
51-60 საკმარისი, E
41-50 ვერ ჩააბარა, FX
0-40 ჩაიჭრა, F
საბოლოო შეფასების მიღებიდან ორი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს აპელაცია და მისი ფინალურის შეფასების გადახედვა. მოთხოვნა აპელაციაზე ეგზავნება საგნის ხელმძღვანელს. გადაწყვეტილების შესახებ სტუდენტს ეცნობება წერილობით

სწავლის შედეგები

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

(A) იცნობს ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე საჯარო მმართველობის (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, მენეჯმენტი) სფეროში განვითარების ტენდენციებს, მის ხარვეზებსა და სრულყოფის გზებს, ევროკავშირის გავლენას ქართულ პრაქტიკაზე, საჯარო მმართველობის თანამედროვე მეთოდოლოგიურ პრინციპებს, კვლევის მეთოდებს, პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად პრინციპებს.

(B) იცნობს საჯარო მმართველობის თანამედროვე მიმართულებების ძირეულ ასპექტებს, როგორც ნაციოლნალურ ისე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, როგორიცაა ადამიანური რესურსების მართვის მენეჯმენტი, სტრატეგიული მართვის მენეჯმენტი, მოლაპარაკების ტექნიკა, ცვლილებების მენეჯმენტი, გადაწყვეტილების მიღების ტექნიკა და ელექტრონული მმარველობა.

(C) აანალიზებს მოქმედ კანონმდებლობას, ეკონომიკას, სოციალურ-პოლიტიკურ სპექტრს და მათ თანამედროვე ეროვნულ და საერთაშორისო პრაქტიკას, ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და ეროვნული პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ კომპლექსურ და ორიგინალურ დასკვნებს;

(D) განმარტავს საჯარო მმართველობის საკითხებთან დაკავშირებულ სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ასევე ახდენს კვლევას აღნიშნული პრობლემის გადაჭრის საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ.

(E) ამოიცნობს სამართლის, ეკონომიკის და პოლიტიკურ სფეროში აქტუალურ პრობლემებს, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის შესაბამის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ გზებს, გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს შედარებით კვლევის მეთოდზე დაფუძნებულ სამეცნიერო კვლევით პროექტს/ნაშრომს.

(F) მსჯელობს როგორც ნაციონალურ, ისე საერთაშორისო აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, წერითი და ზეპირი ფორმით;

(G) ავლენს სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის უცხოური საინფორმაციო რესურსებიდან, პირველადი მონაცემების, უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და საჯარო მმართველობის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს.

(H) იცავს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, მონაწილეობს პროფესიული ცოდნის, სამართლებრივი პრაქტიკისა და სამართლებრივი ღირებულებების განვითარებაში.